საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 37 470

10/05/2021

ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №1ბ-ს მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.795) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტის და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 39 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №1ბ-ს მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.795) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №1ბ-ს მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.795) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №1ბ-ს მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.795) ბიჯი განისაზღვროს 100.00 (ასი) ლარის ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქ. №1ბ-ს მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის

(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.795) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 400.00 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შემენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

მუნიციპალიტეტის მერი